

ჩვენი ხალხის განათლება, ხელოსნობა და მეურნეობა (ამონარიდი)

... ახლა სასწავლებლების დაარსება, განათლების გავრცელება ხალხის და მის ნამდვილ კეთილ-მყოფელთა სურვილია და ამისათვის ეხლანდელ სასწავლებლებს აქვთ საძირკვლათ დემოკრატიული ნიადაგი. ამათ მოელის ხანგრძლივობა, დიდი-ხნობით მოქმედება. თუ ეს ასეა, თუ ეხლანდელ სასწავლებლებლების გახსნა არის დაფუძნებული თვითონ ხალხის სურვილზე, მის მონდომილობაზე, მის საჭიროებაზე, მაშ რაღა კითხვა უნდა, რომ ხალხის ყველა გულის შემატკივარი, ვისაც კი ცოტა რამ გაეგება, ვისაც კი შეუძლიან კალმის ხელში აღება, ვალდებულია, აი ეხლა დაეხმაროს სასწავლებლების ხასიათის განმარტებას.

ცხადია, რომ რასაც ხალხის სასარგებლოდ, მისი ყოფა-ცხოვრების გასამჯობინებლად, წინ-წასაწევად ჰმართავენ, ყოველს მას დიდი კავშირი უნდა ჰქონდეს ხალხის მოთხოვნილებასთან; იგი უნდა იყვნეს პირდაპირ დადგენილი ხალხის მოთხოვნილებაზე, რომ სარგებლობა რამ მოიტანოს. თუ ეს ასეა, მაშ რაღა თქმა უნდა რომ სასოფლო სასწავლებლის, მომართვის, მოწყობილობის და დაფუძნების ჟამსაც კაცს უნდა ჰქონდეს თვალ წინ ხალხის მოთხოვნილება და ყოფა-ცხოვრება. ... გლეხს უსწავლელობის გამო უჭირდება ცოტა მამულში ბევრი მოიყვანოს და თუ კიდევ ბევრი მამული აქვს და მოიყვანა ბლომათ მოსავალი, მაშინ ამ მოსავალს მიფლანგ-მოფლანგავს უბრალოდ და დაჯდება ცარიელი. ამას ხომ იმოდენა ცოდნა და გამოცდილება არა აქვს, რომ თავისას შრომის ნაყოფი გონივრულად გამოიყენოს. თუ ეს ასეა, მაშ რაღა თქმა უნდა, რომ ხალხის მხსნელად უნდა გახდეს განათლება, რომელსაც შეუძლიან ნელ-ნელობით დაბადოს გლეხში სურვილი თავისი ნამუშევრის განკარგებისა და შრომის ნაყოფი ცნობიერად და სიფრთხილით მოახმარებინოს, ხოლო განათლების გავრცელება ხალხში შესაძლოა მხოლოდ სასწავლებლებით, რომლებიდანაც თვითონ ხალხი მოელის გამოცოცხლებას და ფეხზედ დადგომას.

წყარო: <https://bit.ly/2QpatG2>